საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ქონების მართვის, ეკონომიურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის ლაშა თოლორდავას ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

~

2017 წლის 20 ნოემბრიდან არჩეული ვარ საკრებულოს „ქონების მართვის, ეკონომიურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.“ რეგლამენტიდან გამომდინარე ჩართული ვარ საკრებულოს, ბიუროს სხდომების მუშაობაში. კომისიის მიერ ჩატარებული იქნა 12 სხდომა. ვმონაწილეობდი თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის, ეკონომიურ და სოფლის მეურნეობის პროექტის მომზადების პროცესში, მოვამზადე დასკვნა და თანა მომხსენებლად გამოვედი ქონების მართვის პროექტის განხილვაზე.

ვანხორციელებ საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით ჩემთვის მინიჭებულ სხვა უფლება მოსილებებს.

2019 წელში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად ჩემი, როგორც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის ჩართულობით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- სოფელ გუთურში, ვაჩეიშვილების უბანში გარე განათების მოწყობა
- სოფ. გუთურში არსებულ ორივე სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- სოფ. გუთურში გიორგაძეების უბანში გარე განათების მოწყობ
- ე.წ. ძველი სასაფლაოს შეღობვა
- ამბულატორიის გარემონტება
- გადაწყვეტილება იქნა მიღებული და გამოცხადდა ტენდერი სოფ. გუთურში ახალი სკოლის ასაშენებლად.

მოიხრეშა გზების გარკვეული ნაწილი და მოხდა მათი მოსწორება დაპროფილება.

დასახმარებლად მომმართა 65 (ორმოცდათხუთმეტმა) ადამიანმა, რომელთაც ვუშუამდგომლე სოციალურ სამსახურთან და სოციალური დახმარების წესიდან გამომდინარე დავეხმარეთ მედიკამენტების მიღებაში, ასევე დახმარება გაეწია 3ახალშობილის ოჯახს 200 ლარით, 2 მრავალშვილიან ოჯახს ვეხმარებით ყოველთვიურად.

წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაციის მიერ სურსათითა და ტანსაცმლით დაკმაყოფილდა რამდენიმე ოჯახი.

ვარ ფრაქციის „ ქართული ოცნება-დემმოკრატიული საქართველოს წევრი“ .

მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 14 სხდომაში, ფრაქციის 11 სხდომაში. როგორც კომისიის თავმჯდომარემ ჩავატარე ქონების მართვის, ეკონომიურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის 12 სხდომა და განვიხილეთ ყველა ის საკითხი რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის

ქონებას, პრივატიზაციას. ჩართული ვართ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვაში და კონკრეტულ შენიშვნა -წინადადებებს ვაწვდი შესაბამის სამსახურს. მონაწილეობას ვიღებ ყველა იმ პროექტის განხილვაში რომელიც საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად.

მუდმივად ვარ კომუნიკაციაში ჩემს ამომრჩევლებთან და მომავალშიც აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებ.

ლაშა თოლორდავა

საკრებულოს წევრი, ქონების მართვის, ეკონომიურ და

სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე

19.12.2019წ